საქართველო

სანოტარო აქტი
ინდივიდუალური ბინათმშენებლობის
ამხანაგობა "დელისი 2007"-ს
დაფუძნების შესახებ

ორიათას ექვსი წლის შვიდი დეკემბერი

ნოტარიუსი შაია ბრეგვაძე
ქ.თბილისი. ბაზალეთის ქ.1
ტელ.294092.

ქ.თბილისი
2006

3ხ

...ესტრში რეგისტრაციის №1-13095

ორიათას ექვსი წლის შვიდ დეკემბერს მე, ქ. თბილისის ნოტარიუსს მაია ბრეგვაძეს ჩემს სანოტარო ბიუროში (მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, ბაზალეთის ქუჩა 1) მომმართეს ნინა ქავთარაძემ; კოკა ბეკაურმა; გურამ ბეკაურმა; გიორგი ბეკაურმა; ნათელა ტალახაძემ; თორნიკე დემეტრაძემ; ციცინო ბურჭულაძემ; გიორგი კაკიძემ იაკობ დოლონტმა; არჩილ დემეტრაძემ და მამუკა კოჩიაშვილმა, რომლებაც მოითხოვეს ამხანაგობის დაფუძნება, სადამფუძნებლო ხელშეკრულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მხარეების პირადობა მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ნინა ქავთარაძემ (დაბ. 18.04.1936 თეთრი წყარო, მცხ. ქ.თბილისი დელისის მე-3 ქუჩა №7, პირადი №01010019174 პირადობის მოწმობის №ა0545468 გაც. ქ.თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს III გ/ბის მიერ 20.09.2004); კოკა ბეკაურმა (დაბ.30.03.1970 თბილისი, მცხ. ქ.თბილისი დელისის მე-3 ქუჩა №7, პირადი №01010017282 პირადობის მოწმობის №ე0444091 გაც. თბილისის ვაკე-საბურთალოს შსს III გ/ბის მიერ 10.01.2004); გურამ ბეკაურმა (დაბ.04.10.1957 თბილისი, მცხ. ქ.თბილისი დელისის მე-3 ქუჩა №7, პირადი №01008038137 პირადობის მოწმობის №ბ0754208 გაც. ვაკის სმრს-ს მიერ 16.08.2005); გიორგი ბეკაურმა (დაბ.23.02.1960 თბილისი, მცხ. დელისის მე-3 ქუჩა №7, პირადი №01008039054 პირადობის მოწმობის №დ0782727 გაც. ვაკის სმრს-ს მიერ 19.10.2005); ნათელა ტალახაძემ (დაბ.10.01.1944 კასპი, მცხ. ქ.თბილისი გლდანის მასივი 6 მ/რ, კორპუსი 15, ბინა 46, პირადი №01002020617 პირადობის მოწმობის №ბ0343163 გაც. თბილისი გლდანი-ნაძალადევის შს მე-II გ/ბის მიერ 31.01.2002); თორნიკე დემეტრაძემ (დაბ.19.02.1984 თბილისი, მცხ. ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას გამზირი 52, ბინა 52, პირადი №01009014955 პირადობის მოწმობის №ე0288236 გაც.ვაკის შსს-ს მიერ 14.08.2000); ციცინო ბურჭულაძემ (დაბ.14.11.1947 კასპი, მცხ. ქ.თბილისი კუტუზოვის ქუჩა 20, ბინა 16, პირადი №01024054753 პირადობის მოწმობის №ბ0680423 გაც. თბილისის საბურთალოს სმრს-ს მიერ 03.05.2005); გიორგი კაკიძემ (დაბ13.05.1959 თბილისი, მცხ. ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას 3 კვ. 2 კვ. ბინა 24, პირადი №01009009447 პირადობის მოწმობის №ე0523157 გაც. თბილისი ვაკე-საბურთალოს შსს II გ/-ბის მიერ 22.07.2004). იაკობ დოლონტმა (დაბ.23.01.1979 თბილისი, მცხ. ქ.თბილისი ნუცუბიძის ქუჩა ქუჩა №77ბ, ბინა 71, პირადი №01010004970 პირადობის მოწმობის №ბ0916800 გაც. ვაკის სმრს-ს მიერ 11.04.2006); არჩილ დემეტრაძემ (დაბ.08.01.1983 თბილისი, მცხ. ქ.თბილისი ვაჟა ფშაველას გამზირი 52, ბინა 25, პირადი №01009014765 პირადობის მოწმობა №ა0288181 გაც. თბილისის ვაკის რ/ნის შსს I-ლი გ/ბის მიერ 06.07.2000) და მამუკა კოჩიაშვილმა (დაბ.16.05.1967, მცხ. ქ.თბილისი კოსტავას ქუჩა 41, პირადი №01017002201 პირადობის მოწმობის №ე0060073 გაც. ქ.თბილისის მთაწმინდის შსვ-ს მიერ 13.06.95 წელს) მომმართეს. მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება. მე დავადგინე მხარეთა ნების გამოხატვის ნამდვილობა და ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების შინაარსი. შემდეგ შევადგინე ხელშეკრულება, რომელიც წავუკითხე მხარეებს. მათ განვუმარტე ამ ხელშეკრულების შინაარსი, მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები ამ განმარტებათა მოსმენის შემდეგ მხარეებმა ჩემი თანდასწრებით წაიკითხეს ეს ხელშეკრულება და განაცხადეს, რომ იგი სრულად შეესაბამება მათ ნებას; მხარეებმა პირადად ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერეს შემდეგ ხელშეკრულებას:

1. ამხანაგობის სახელწოდება და დამფუძნებლები

1.1. ამხანაგობის სახელწოდება "დელისი 2007"

1.2. ამხანაგობის დამფუძნებლები (მონაწილეები) არიან: ნინა ქავთარაძე; კოკა ბეკაური; გურამ ბეკაური; გიორგი ბეკაური; ნათელა ტალახაძე; თორნიკე დემეტრაძე; ციცინო ბურჭულაძე; გიორგი კაკიძე; იაკობ დოლონტი; არჩილ დემეტრაძე და მამუკა კოჩიაშვილი,

2. ამხანაგობის მიზანი

2.1. ამხანაგობის დამფუძნებელთა მიზანია წინამდებარე დაფუძნების აქტით განსაზღვრული წესითა და ვადებში, ერთობლივად იმოქმედონ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად (შემდგომში "საცხოვრებელი სახლი")

2.2. საცხოვრებელი სახლი უნდა აშენდეს მისამართზე: [illegible] ქალაქი თბილისი, დელისის მე-3 ჭიშკა №7.

2.3 საცხოვრებელი სახლის სართულების რაოდენობა, სახლში ბინების რაოდენობა, თითოეული ბინის ფართი და სხვა მახასიათებლები დადგინდება სამშენებლო დოკუმენტაციებით;

2.4. ამხანაგობის ხელმძღვანელი ვალდებულია სამშენებლო დოკუმენტაცია მისი დასრულების შემდეგ დაუყონებლივ წარუდგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით. საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს თითოეული ასაშენებელი ბინის მომავალი მესაკუთრე.

3. დამფუძნებელთა შენატანი ამხანაგობაში და სხვა ვალდებულებები

3.1. ამხანაგობის დამფუძნებლების:

[illegible] ამხანაგობაში შენატანს შეადგენს: მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის 856 კვ.მეტრი ფართი შენობა-ნაგებობა საერთო ფართით 99,89 კვ. (მათ შორის საცხოვრებელი ფართით 38,70 კვ.მეტრი რომელიც მდებარეობს [illegible] ქალაქი თბილისი, დელისის მე-3 ჭიშკა №7. რომლის მახასიათებლებია: სარეგისტრაციო ზონაა – თბილისი, კოდი 1, სექტორი ვაკე, კოდი 14, კვარტლის №15, ნაკვეთის №1/119, ფართობი 856 კვ.მ. ნაკვეთის წინა №1.

აღნიშნულ უძრავი ქონების დასახელებულ პირებს საკუთრების უფლება უდასტურდებათ შემდეგი დოკუმენტით:

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გაც.05.12.2006 სარეგისტრაციო №1/14/15/1/119 განაცხადის რეგისტრაციის №012006073402; საკადასტრო რუკა გაც.08.11.2006 სარეგისტრაციო №73402/06 და აღნიშნულ უძრავ ქონებას ყადაღა არ ადევს თანახმად ყადაღის ცნობისა გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამსახურის მიერ 16.11.2006 №ყად-10221.

3.2. ამხანაგობის დამფუძნებლების [illegible] ამხანაგობაში შენატანს აგრეთვე წარმოადგენს შემდეგი ვალდებულებების შესრულება:

- სამშენებლო დოკუმენტების მომზადება;
- მშენებლობის დაფინანსება, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით;

ამხანაგობის წევრის მიერ ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის სანაცვლოდ, აშენებულ საცხოვრებელ სახლში მისაღები საერთო ფართიდან ისინი ფართებს მიიღებენ თანაბარი პროცენტული მაჩვენებლით

3.3. დამფუძნებლები თანხმდებიან, რომ მათ მიერ განხორციელებული შენატანები საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრებისა და

პრივატიზაციაში შესვლის შემდეგ გახდება დამფუძნებელთა საერთო საკუთრება და თითოეულ მათგანს ამ სახლში ექნება შესაბამისი წილი, წინამდებარე დაფუძნების აქტი არის საფუძველი საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის დამფუძნებელთა საერთო საკუთრებად აღრიცხვისა.

3.4. დამფუძნებელსა და ამხანაგობას შორის შესაძლებელია განისაზღვროს ცალკეული გადასაცემი ბინის მახასიათებლები, რაზეც დგება წერილობითი შეთანხმება (ხელშეკრულება), რომელიც წარმოადგენს დამფუძნებელი ხელშეკრულების ნაწილს და სავალდებულოა შესასრულებლად.

3.5. დამფუძნებელთა მიერ ამხანაგობაში მათი შენატანი შეფასებულია 160000 (ას სამოციათას) ლარად;

3.6. დამფუძნებლებმა განაცხადეს, რომ მათ მიერ განხორციელებული შენატანები გახდება დამფუძნებელთა საერთო საკუთრება და თითოეული მათგანს ექნება შესაბამისი წილი. წინამდებარე დაფუძნების აქტი არის საფუძველი საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის დამფუძნებელთა საერთო საკუთრებად აღრიცხვისა.

3.7. დამფუძნებლები თანახმა არიან საჭიროების შემთხვევაში მრავალსართულიანი ბინის ასაშენებლად და დასამთავრებლად ამხანაგობა ~~"ლელისი 2007"-ს~~ თავმჯდომარემ იპოთეკით დატვირთოს მიმიდინარე მშენებლობა.

3.6. 3.7. ქვეპუნქტით განსაზღვრული საჭიროების (მშენებარე სახლის იპოთეკით დატვირთვა) დადგომის შემთხვევაში თავმჯდომარე ვალდებულია წერილობით აცნობოს დამფუძნებლებს ამის თაობაზე იპოთეკის ხელშეკრულების დადებამდე 15 (თხუთმეტი) დღით ადრე.

3.7. დამფუძნებელსა და ამხანაგობას შორის შესაძლებელია განისაზღვროს ცალკეული გადასაცემი ბინის მახასიათებლები, რაზედაც დგება წერილობითი შეთანხმება (ხელშეკრულება), რომელიც წარმოადგენს დამფუძნებელი ხელშეკრულების ნაწილს და სავალდებულოა შესასრულებლად.

3.8. მშენებლობის ვადები განისაზღვრება მესაკუთრეთა ამხანაგობის დამფუძნებელთა მიერ მიწის სამუშაოების დაწყების დღიდან 24 (ოცდაოთხი) თვის განმავლობაში.

4. მესამე პირისათვის წილის გადაცემის წესი

4.1. თითოეულ მხარეს ერთობლივ საქმიანობაში თავისი წილი უფლება შეუძლია გადასცეს მესამე პირს წილის დათმობის გზით, რომელსაც აცნობებს ამხანაგობის თავმჯდომარეს სათანადო რეგისტრაციის მიზნით და ექვემდებარე საჯარო რეესტრში წინასწარ რეგისტრაციას.

5. ამხანაგობის ხელმძღვანელობა

5.1. დამფუძნებლები შეთანხმდნენ, რომ ამხანაგობას გაუძღვება ამხანაგობის თავმჯდომარე. ამხანაგობის თავმჯდომარედ დამფუძნებლებმა აირჩიეს ბატონი [illegible] (დაბ.16.05.1967, მცხ. ქობულეთი ჯოსატყას ქუჩა 41, პირადი №01017002201 პირადობის მოწმობის №00060073 გაც. ქობულეთის მთაწმინდის მსგ-ს მიერ 13.06.95 წელს);

5.2. ამხანაგობის თავმჯდომარე წარმოადგენს ამხანაგობას მესამე პირებთან ურთიერთობაში, დებს გარიგებებს ამხანაგობის სახელით, ამასთანავე თავმჯდომარე ერთპიროვნულად არის უფლებამოსილი ექსპლუატაციაში ჯერ კიდევ მიუღებელ საცხოვრებელ სახლში იმ ბინებზე უფლების გასხვისებაზე, რომელიც იქნება ამხანაგობის დამფუძნებელთა საერთო საკუთრება. ეს წესი არ ეხება უფლებას იმ ბინებზე, რომლებიც ბინების განაწილების შემდეგ იქნება დამფუძნებელთა ინდივიდუალურ საკუთრებაში და რომელიც წინასწარი ჩანაწერით რეგისტრირებული იქნება საჯარო რეესტრში.

5.3. ამხანაგობის თავმჯდომარე პასუხისმგებელია ამხანაგობის საქმიანობასთან დაკავშირებული საფინანსო-საბუღალტრო დოკუმენტაციის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოებისა და ამხანაგობის საქმიანობის საფუძველზე წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულებების ჯეროვანი შესრულებისათვის.

5.4. ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით გაუძღვეს ამხანაგობის საქმიანობას. იგი პასუხს აგებს ამხანაგობისათვის ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის.

5.5. ამხანაგობის ყველა დამფუძნებლის თანხმობით მიიღება გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე.

ა) ამხანაგობაში დამატებითი შენატანების ოდენობის დადგენა.

ბ) ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში ბინების განაწილება ამხანაგობის დამფუძნებლებს შორის.

5.6. ამხანაგობის სახელით წერილობითი გარიგების დადებისას ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია მიუთითოს, რომ იგი მოქმედებს ამხანაგობის სახელით.

5.7. ამხანაგობის თავმჯდომარეს შეიძლება ვადამდე ჩამოერთვას ერთობლივი საქმიანობის გაძღოლის უფლებამოსილება ხმათა უმრავლესობით და მხოლოდ იმ შემთხვევაში,თუ იგი უხეშად დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

5.8. დამფუძნებლებს ხელშეკრულებაში მითითებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებენ მხარეთა უბრალო უმრავლესობით. ერთ დამფუძნებელს აქვს ერთი ხმის უფლება მიუხედავად მისი წილისა.

5.9. დამფუძნებლები ვალდებულნი არიან არ გაახმაურონ ამხანაგობის საქმიანობის შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.

5.10. თითოეულ დამფუძნებელს უფლება აქვს სხვა დამფუძნებელს მოსთხოვოს ამხანაგობის საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

6. ბინების განაწილების წესი.

6.1.ამხანაგობის დამფუძნებლები ვალდებულნი არიან სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენის დასრულების შემდეგ გონივრულ ვადაში შეადგინონ დამფუძნებელთა შორის ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი, რომელშიც უნდა მიეთითოს თითოეული მონაწილის კუთვნილი ბინის ნომერი, ბინის განთავსების სართული (საჭიროების შემთხვევაში სადარბაზო) და ასაშენებელი ბინის საერთო ფართი.

6.2. ამხანაგობის ხელმძღვანელი ვალდებულია ბინების განაწილების შესახებ სანოტარო აქტი და საამშენებლო დოკუმენტაცია დაუყოვნებლივ წარუდგინოს საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით. საჯარო რეესტრში უნდა აღინიშნოს თითოეული ასაშენებელი ბინის მომავალი მესაკუთრე.

6.3. ბინები უნდა განაწილდეს შემდეგი ზოგადი პრინციპით, – ამხანაგობის დამფუძნებლები, რომლებმაც შენატანი შეიტანეს ნატურით (მიწის ნაკვეთით) მიიღებენ ამ ხელშეკრულების 3.2. მუხლში მითითებულ პროცენტების შესაბამისი მოთხოვნებით.

6.4. საცხოვრებელი სახლის ექსპლუატაციაში მიღებისა და საცხოვრებელი სახლის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ მიწის ნაკვეთი, რომელზედაც იქნება აშენებული საცხოვრებელი სახლი, იქნება ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაში ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის პროპორციულად.

7. დამფუძნებელთა პასუხისმგებლობა

7.1. დამფუძნებლები, სოლიდარულად აგებენ პასუხს ამხანაგობის საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისათვის მესამე პირების წინაშე, გარდა მობინადრეებისა.

7.2. დამფუძნებლები კისრულობენ ვალდებულებას არ დაარღვიონ პროექტით გათვალისწინებული ვალდებულებები. ვალდებულებები მოქმედებს ზემოთ აღნიშნული საცხოვრებელი სახლის არსებობის მთელ პერიოდში.

7.3. დამფუძნებელთა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთი და მასზედ არსებული ნაგებობები რჩება მესაკუთრეთა საკუთრებაში.

8. სანქციები

8.1. თუ ამ ხელშეკრულების 3.2 პუნქტში მითითებული პირები ხელს შეუშლიან ამხანაგობის იმ პირებს, რომლებიც პასუხს აგებენ მშენებლობის ორგანიზებაზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, მაშინ ისინი შეუწყვეტენ მათ ინდივიდუალურად ამ ხელშეკრულების 3.2. პუნქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

9. ამხანაგობიდან გასვლის წესი

9.1. თითოეულ დამფუძნებელს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გავიდეს ამხანაგობიდან. ამასთანავე ამხანაგობიდან გასვლა არ დაიშვება ისეთ დროს,ან ისეთ გარემოებაში,რაც საზიანო იქნება ამხანაგობისათვის.

10. ამხანაგობის ვადა

10.1. ამხანაგობა შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

10.2. ამხანაგობის საქმიანობა ვადაზე ადრე წყდება:

ა) თუ ამხანაგობაში დარჩა ერთი დამფუძნებელი;

ბ) ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის გახსნით.

გ) მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, რომელიც უნდა გაფორმდეს სანოტარო აქტით.

10.3. ამხანაგობის ერთ-ერთი დამფუძნებლის უფლებაუნარიანობის შეწყვეტის შემთხვევაში (გარდაცვალება) მისი ადგილს იკავებს მემკვიდრე.

11. ამხანაგობა ლიკვიდაციის წესი

11.1. ამხანაგობის ლიკვიდაციისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები და შედეგს საინვენტარიზაციო ნუსხა
11.2. ამხანაგობის საქმიანობის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება ნაწილდება მხარეთა შორის მათი წილების პროპორციულად.

12. ამხანაგობის დოკუმენტაციის აღრიცხვა

12.1 ამხანაგობის თავმჯდომარე ვალდებულია აწარმოოს ჟურნალი, რომელშიც სავალდებულო წესით აღირიცხება შემდეგი დოკუმენტაცია:
ა) ამხანაგობის დაფუძნების აქტი;
ბ) ამხანაგობის აქტში შეტანილი ცვლილება;
გ) საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების აქტი.
დ)საცხოვრებელი სახლის ბინების განაწილების აქტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება;
ე) ამხანაგობის მიერ დადებული ნებისმიერი ხელშეკრულება და ცვლილებები ამ ხელშეკრულებებში;
12.2. ჟურნალი უნდა იყოს ზონარგაყრილი და ბეჭდით დალუქული, თითოეული გვერდი დანომრილი.
12.3. ჟურნალში შეიტანება შემდეგი ინფორმაცია:
ა) აქტის დასახელება, დადების თარიღი, შინაარსი.
ბ) იმ ნოტარიუსის დასახელება, რომელმაც დაამოწმა აქტი,დამოწმების თარიღი და სარეგისტრაციო ნომერი.
12.4. ამხანაგობის ნებისმიერი წევრი უფლებამოსილია მოითხოვოს ჟურნალის ჩანაწერების გაცნობა. ანალოგიური უფლება აქვს ნოტარიუსს,რომელსაც ამხანაგობასთან დაკავშირებული სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის სჭირდება ინფორმაცია ამხანაგობის მდგომარეობის შესახებ.
12.5. ამხანაგობის დამფუძნებლები თანხმდებიან,რომ ამხანაგობის დაფუძნებისა და ბინების განაწილების აქტები, აგრეთვე იმ აქტებში შეტანილი ცვლილებები სავალდებულო წესით უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს და აღნიშნული აქტები საჯაროა – ნებისმიერ წევრს უფლება აქვს მოითხოვოს საკუთარი ხარჯით ამ აქტების ასლების დამზადება.
12.6. ამხანაგობის დამფუძნებლები თანხმდებიან, რომ 12.4. პუნქტში მითითებული აქტები მესამე პირების მიმართ ძალმოსილია მხოლოდ საჯარო რეესტრში წარდგენის შემდეგ.
12.7. ამხანაგობის დამფუძნებელთა ურთიერთობაში 12.4. პუნქტში მითითებული აქტები ძალმოსილია ჟურნალში რეგისტრაციისთანავე.
12.8. ჟურნალში წარმოების სიზუსტეზე პასუხს აგებს ამხანაგობის ხელმძღვანელი.

13. დასკვნითი დებულებანი

13.1. წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი სანოტარო წესით დამოწმების მომენტიდან და ექვემდებარება საჯარო რეესტრში საკალდებულო რეგისტრაციას.
13.2. ამ ხელშეკრულებაში ცვლილებები შეიტანება წერილობით და ძალაში შედის სანოტარო წესით დამოწმებისთანავე,ამასთან ცვლილებები საბოლოოდ უნდა წარედგინოს საჯარო რეესტრს.
13.3 .წინამდებარე აქტი შედგენილია ექვს თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ქ.თბილისის ნოტარიუს მაია ბრეგვაძის სანოტარო არქივში თანდასართავი დოკუმენტებითურთ და დანარჩენი გადაეცა ამხანაგობის თავმჯდომარეს. ხელშეკრულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო ბიუროში თან ერთვის
1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გაც.05.12.2006 სარეგისტრაციო №1/14/15/1/119 განაცხადის რეგისტრაციის №012006073402;
2. საკადასტრი რუკა გაც.08.11.2006 სარეგისტრაციო №73402/06
3. ყადაღის ცნობა გაცემული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამსახურის მიერ 05.12.2006 №ყად-13187
ამხანაგობის თავმჯდომარემ გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური 482 ლარი და 50 თეთრი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონის (11 ივლისი 1998წ. №1417 II ს) 22-ე მუხლისა და 86 ლარი 85 ლარი, სულ 569 ლარი და 00 თეთრი.

ამხანაგობის დამფუძნებლები:

ნინა ჭავჭარაძე

პოპა ბეჭაური

გურამ ბეჭაური

გიორგი ბეჭაური

ნათელა ტალაკაძე

თორნიკე დემეტრაძე

ცისანა გაჩეჩილაძე

გიორგი ჯაჯიძე

იაკობ ღლონტი

არჩილ დემეტრაძე

მამუკა პოლიაშვილი

ქ.თბილისის ნოტარიუსი მაია ბრეგვაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

45964372394911

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N110111042

რეგისტრაციის თარიღი

08.02.2011 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45 მე-3 სართული
ტელეფონი: 8(22) 14 00 77 ; 8(74) 44 45 49

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო აქტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორიათას თერთმეტი წლის რვა თებერვალს მე, ეკატერინე მარშანიას, ნოტარიუსს ქ.თბილისში, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისიმართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე სართულზე, მომმართა **მამუკა კონიაშვილმა** (შემდგომში „ მიმნდობი"), რომელმაც განაცხადა, რომ არის **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "დელისი 2007"-ს თავმჯდომარე** /თანახმად **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "დელისი 2007"-ს დებულებისა, რომელიც დამოწმებულია 07.12.2006წ. სანოტარო აქტით რ-№1-13095 ნოტარიუსი მაია ბრეგვაძის მიერ** / და სურს აიგენგო **დემეტრაძისათვის** უფლებამოსილების მინიჭება, შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა **მამუკა კონიაშვილმა** (დაბადებული 16.05.1967წ, თბილისში პ/მ №ა 1001133 პ/№01017002201 გაცემული 06.11.2006წ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №41)

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა ეკატერინე მარშანიამ, შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე, განვუმარტე **მამუკა კონიაშვილს** მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თერთმეტი წლის რვა თებერვალს **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "დელისი 2007"-ს თავმჯდომარემ მამუკა კონიაშვილმა,** წინამდებარე მინდობილობით მოქ. **აიგენგო დემეტრაძეს** (დაბადებული 07.05.1948წ, ადიგენში პ/მ №გ 0727839 პ/№01009008462 გაცემული 13.06.2005წ ვაკის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №52, ბინა 25) შემდგომში „მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. **აიგენგო დემეტრაძე** უფლებამოსილია წარმოადგინოს **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "დელისი 2007"-ს** ინტერესები, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ნებისმიერ ორგანიზაცია დაწესებულებაში, მათ შორის, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, ქ. თბილისის სასამართლოს ნებისმიერ ინსტანციაში, ქალაქის მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, უძრავი ქონების აზომვით სამსახურებში, სს"თელასში", სს "ყაზგაზტრანსში", წყალკანალში "GWP", საგადასახადო ინსპექციაში, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ცნობა მოწმობა, ამონაწერი, თუ დოკუმენტი. ამასთან დაკავშირებით აწარმოოს მოლაპარაკება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დადოს ხელშეკრულებები, კონტრაქტები, ყველა შემთხვევაში განსაზღვროს ყველა პირობა.

2) "მინდობილი პირი" ვალდებულია წინამდებარე მიდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად. "მინდობილი პირი" ვალდებულია ამ მინდობილობით მინდობილი მოქმედებები შეასრულოს პირადად და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს.

3) წინამდებარე მიდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე. მიდობილობა შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. შეწყვეტა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით. აღნიშნული მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად. ერთი ინახება სანოტარო ბიუროში ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

მინდობილობას თან ერთვის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "დელისი 2007"-ს დებულების ასლი.

„მიმნდობი" _____

ნოტარიუსის საზღაური: სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონი 11 ივნისი 1998 წ. №1417. ნოტარიუსის საზღაური 29,8 – ათი ლარი და ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის ორი ლარი.

ნოტარიუსი _____ **ეკატერინე მარშანია**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N110732143
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	14.07.2011 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე მარშანია
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45 მე-3 სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	8(32) 2 14 00 77 ; 5(74) 44 45 49; ელ.ფოსტა: emarshania@notary.ge
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	23518090563911

სანოტარო აქტი
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორიათას თერთმეტი წლის თოთხმეტ ივლისს, მე, ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია, ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას #45, მე-3 სართულზე, ვამოწმებ დოკუმენტის ფოტოასლის სისწორის შესაბამისობას მის დედანთან.

ნოტარიუსის საზღაური:
სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონი 11 ივნისი 1998 წ. № 1417, 29.5-ე მუხლის თანახმად 1 (ერთი)ლარი და დღგ 0.18 (თვრამეტი) თეთრი, სულ 1.18 თეთრი.

ნოტარიუსი ეკატერინე მარშანია

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18